საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030106076919919

№ 01-121/ო **26 / მარტი / 2019 წ.**

,,ტუბერკულოზის ცენტრალური მაკოორდინირებელი ორგანოს - ტუბერკულოზის კონტროლის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 29 აგვისტოს N01-92/ ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „ტუბერკულოზის ცენტრალური მაკოორდინირებელი ორგანოს - ტუბერკულოზის კონტროლის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 29 აგვისტოს N01-92/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების:

ა) პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ო'' ქვეპუნქტის, 21-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:";

ბ) პირველი პუნქტით დამტკიცებული N1 დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დანართი N1

ტუბერკულოზის ცენტრალური მაკოორდინირებელი ორგანოს - ტუბერკულოზის კონტროლის ეროვნული საბჭოს შემადგენლობა

1. შეიქმნას ტუბერკულოზის ცენტრალური მაკოორდინირებელი ორგანო - ტუბერკულოზის კონტროლის ეროვნული საბჭო (შემდგომში - საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:

ა) თამარ გაბუნია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) თამაზ მოდებაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;

გ) ამირან გამყრელიძე - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი, საბჭოს წევრი;

დ) ირმა ხონელიძე - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული

ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;

ე) თეა ჯიქია - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - წამლის სააგენტოს უფროსის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. საბჭოს საქმიანობაში წევრის სტატუსით, სათათბირო ხმის უფლებით, მონაწილეობის მიღება ეთხოვოს:

ა) აკაკი ზოიძეს - საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;

ბ) თამთა დემურიშვილს - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი;

გ) ზაზა ავალიანს - ს.ს. ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი.

3. საბჭოს საქმიანობაში წევრის სტატუსით მონაწილეობის მიღება ეთხოვოს:

ა) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელს;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელს;

გ) ა(ა)იპ საქართველოს ტუბერკულოზის კოალიციის წარმომადგენელს.“.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დავით სერგეენკო